ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7140621

ნომერი: AR11028675

თარიღი : 10.04.2024

გაცემის თარიღი : 22.07.2024

გაცნობის თარიღი : 22.07.2024

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ბზითაგორის ქუჩა, N 56;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სალომე სვიანაძე პ/ნ 01019075333
- თბილისი სანზონა კორ. 18ვ ბ. 21

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რომლის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

1. თქვენ მიერ მოთხოვნილი ფუნქცია საერთო სარგებლობის საწყობზე და ოფისზე, არ წარმოადგენს საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების დასაშვებ სახეობას.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების დანართი 1-ის მიხედვით ოფისი და საწყობი საცხოვრებელი ზონა-3-ისათვის (სზ-3) წარმოადგენს ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საგამონაკლისო დასაშვებ სახეობას, რომელიც საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით შესაძლებელია მიმართოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, საპროექტო მიწის ნაკვეთზე საგამონაკლისოდ დასაშვები ფუნქციური დანიშნულების სახეობის სპეციალურ (ზონალური) შეთანხმებასთან დაკავშირებით და განაცხადი ატვირთოთ ოფიციალურ პორტალზე - https://letters.ms.gov.ge/home, შესაბამის ნომენკლატურაში.

დამატებით გაითვალისწინეთ, რომ 14-39 დადგენილების თანახმად მრავალფუნქციური შენობა განმარტებულია, როგორც ორი ან მეტი ფუნქციის მქონე შენობა, სადაც რომელიმე ძირითადი ფუნქცია არ აღემატება შენობის საერთო ფართობის 75 %-ს;

ვინაიდან თქვენს მიერ წარმოდგენილი ანგარიშით - ძირითად სახეობა არის სასაწყობე შენობა და დამხარე საოფისე, რომლის პროცენტულობა არ აღემატება 25%-ს. საჭიროა სამსახურს მომართო შეცვლილი ნომენკლატურით და მრავალფუნქციური ნაცვლად - სასაწყობე.

2.წარმოდგენილი ესკიზი ამოღებულ იქნას დოკუმენტაციდან.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულადვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს. გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.